



საზოგადოებრივი ხანძარი კასპში



კასპში საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა. მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლები საზოგადოებრივი ცენტრის მომსახურების მიღებას საკუთარი ქალაქიდან გაუსვლელად ადგილზე შეძლებენ.

რიგით 88-ე საზოგადოებრივი ცენტრი კასპში იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგვაძემ შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულთან ვალერიან მჭედლიძესთან და კასპის მუნიციპალიტეტის მერთან ვახტანგ მაისურაძესთან ერთად გახსნა.

ახალი ფილიალი

მომხმარებელს მრავალფეროვან მომსახურებას, გამართივებულ პროცედურებს და თანამედროვე ინფრასტრუქტურას სთავაზობს.

მომსახურების სივრცე 308 კვადრატულ მეტრზეა განთავსებული და მომხმარებელს 200-ზე მეტ სერვისს “ერთი ფანჯრის” პრინციპით აწვდის.

ახალ ინფრასტრუქტურაში განაგრძეს საქმიანობა იუსტიციის სამინისტროს იმ სსიპების თანამშრომლებმა, რომლებიც ამ დრომდე მოძველებულ შენობებში მუშაობდნენ.

კასპის საზოგადოებრივი ცენტრში უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკაც განთავსდა, სადაც ელექტრონულ წიგნებთან ერთად ბეჭდური გამოცემებიც არის დაცული.

საზოგადოებრივი ცენტრში პრობაციის ბიუროს რაიონული ოფისიც გაიხსნა. ბიუროს ახალი ოფისი ქართლის რეგიონში დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობებს კიდევ უფრო გააფართოებს.

შეხვედრა კასპის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკვლამოქმედო ორგანიზაციის წარმომადგენლებს შორის



კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე საერთაშორისო საკვლამოქმედო ორგანიზაციის “LDS charities”,

საკვლამოქმედო ორგანიზაცია “საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის” და “ა(ა)იპ კასპის შშმ პირთა კავში-


რი“-ს წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობაზე, მხარეებმა გამოთქვეს მზაობა მუნიციპალიტეტში მოქმედი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ჯანდაცვის ცენტრის ტექნიკური აღჭურვილობის საჭიროებებით უზრუნველყოფაზე.

შეხვედრის შემდეგ ესტუმრნენ კასპში დასასრული გვ4.



თვალსაზრისით გაცხროყოლი ვაზი



სურათი პირველი: შტრიხები სტუმრის უჩარჩო პორტრეტისათვის “ახალი განთიადის” წინასახალწლო ნომრის სტუმარია ოფთალმოქირურგი გიორგი ჯავრიშვილი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, “ღირსების” ორდენის კავალერი, სვიატოსლავ ფილოლოგიის სახელობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი, თბილისის სამხატვრო აკადემიის საპატიო დოქტორი.

გიორგი ჯავრიშვილი დაიბადა 1955 წლის 23 ივნისს ქალაქ თბილისში.

პროფესიული სწავლება და სამედიცინო მეცნიერული საქმიანობა:

გიორგი ჯავრიშვილი 1973–1980 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში (სამკურნალო ფაკულტეტი).

1987 წლიდან სწავლა განაგრძო ქ. მოსკოვის თვალის მიკროქირურგიის სვიატოსლავ ფილოლოგიის სახელობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში.

1988 – 2005 წლებში ამავე ინსტიტუტში გაიარა ორდინატურის, ასპირანტურისა და დოქტორანტურის სწავლების ეტაპები, დაიცვა ორი სამეცნიერო დისერტაცია და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

მსოფლიოში აღიარებული ოფთალმოლოგის, სვიატოსლავ ფილოლოგიის ინიციატივით, პროფესიული და სამეცნიერო ცოდნა-გამოცდილების გადაცემისა და განხარების მიზნით, 1990 წელს მივლინებულ იქნა ქ. ნეაპოლის (იტალია) ოფთალმოლოგიურ კლინიკაში. ქართველი ახალგაზრდა ექიმის უშუალო მეთვალყურეობით, თითქმის წელიწადნახევრის განმავლობაში, იქ რამდენიმე ქართველმა და რუსმა ოფთალმოლოგმა ერთობლივად იმუშავე.

ფაქტობრივად, ეს იყო ქართული ოფთალმოლოგიური ჯგუფის პირველი წარმატებული “ფანჯრის გაჭრა” ევროპაში.

1992 წელს, გიორგი ჯავრიშვილის

აქტიური მონაწილეობით, ქ. დონეცკში (უკრაინა) შეიქმნა თვალის მიკროქირურგიული კლინიკა (ნიმუხობლივი ფაქტი: იგი დღემდე ფუნქციონირებს).

1996 წელი – საქართველოში (ქ. თბილისი) დააფუძნა თვალის მიკროქირურგიის სამკურნალო-დიაგნოსტიკური დაწესებულება – “ჯავრიშვილის კლინიკა – ოფთალმიჯი” (მისი დამფუძნებელი და შეუცვლელი ხელმძღვანელია 25 წლის განმავლობაში).

2011 წლიდან დღემდე უკავია ოფთალმოლოგიის სასწავლო კურსის სრული პროფესორის თანამდებობა ქ. თბილისის დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტში.

გიორგი ჯავრიშვილი ავტორია უცხოეთის რამდენიმე ქვეყანაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებისა, რომლებშიც განიხილავს ადამიანის თვალის რქოვანას პრობლემებს.

ჯილდოები: 2001 წელი – მიენიჭა სახელმწიფო ჯილდო – “ღირსების” ორდენი (მედიცინის სფეროში წარმატებული სამეცნიერო და ორგანიზატორული საქმიანობისათვის).

2006 – გახდა სვიატოსლავ ფილოლოგიის სახელობის პრემიის ლაურეატი (ქართველ მეცნიერს საერთაშორისო მასშტაბით დაწესებული პრემია მიეკუთვნა თავის ქვეყანაში ოფთალმოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებაში შეტანილი ღვაწლისათვის).

საზოგადოებრივი აღიარება და დაფასება: გიორგი ჯავრიშვილის ბიოგრაფია შეტანილია:

– ენციკლოპედიურ ბეჭდურ გამოცემაში “თბილისი” (2002, გვ. 545);

– “წიგნი ღირსებისა” (თბილისი, 2003, გვ. 26);

– ასევე ეძღვნება რამდენიმე სიუჟეტი სატელევიზიო გადაცემებში (“იმედის” დღე”, “ფორტუნა” და სხვა).

სურათი მეორე: “ოფთალმიჯი” – ჯავრიშვილის კლინიკა

გიორგი ჯავრიშვილმა 1996 წლის დასაწყისში ქ. თბილისში დააარსა თვალის მიკროქირურგიული კლინიკა OFTALMIJ (ბერძნული წარმოშობის ტერმინი “Ophthalmos” – “თვალი”, ხოლო “J” კლინიკის მფლობელის გვარის პირველი ასო).

ამდენად, 2021 წლის 7 იანვარს მისი ამოქმედებიდან ზუსტად 25 წელი – საუკუნის მეოთხედი – შესრულდა!

გახსნიდან მალევე (უკვე 1997 წლიდან) საქართველოში ეტაპობრივად გამოჩნდა “ოფთალმიჯის” ფილიალები. ამჟამად სათაო დაწესებულების ფილიალები ქვეყნის 8 ქალაქში მოქმედებს:

ქუთაისში, ზუგდიდში, გორში, რუსთაველაში, თელავში, თბილისის გლდანის რაიონში, საგარეჯოსა და გურჯაანში. ეს ნიშნავს, რომ არა მარტო ამ ქალაქებში, არამედ მათ მახლობლად მცხოვრებ პაციენტებს აქვთ ტერიტორიულად ოპერატიული კვალიფიციური მკურნალობის საშუალება.

2000 წელს “ოფთალმიჯმა”, ასევე, საქართველოს მასშტაბით პირველმა, შექმნა მოძრავი საოპერაციო ბლოკი და მისი მეშვეობით თითქმის ყველა რეგიონი მოიცვა, ანუ კეთილმოაზრებული მოიტანა: აუცილებელი სამედიცინო კონსულტაცია და საჭირო ქირურგიული ოპერაცია უშუალოდ ქალაქებსა და დიდ სოფლებში ჩაუტარებულა გვ.3.

გაგრძელება. და ათეულობით ათას ადამიანს.

2009 – ქ. თბილისში (დიდმის სამედიცინო დაწესებულებათა ფართო ქსელის დაჯგუფების ტერიტორიაზე, ლუბლიანას ქუჩაზე) აიგო კლინიკის სათაო ოფისის კორპუსი. იგი აშენდა და აღიჭურვა თანამედროვე მედიცინის საერთაშორისო მოთხოვნათა შესაბამისად.

ამის გარდა, “ჯავრიშვილის კლინიკა” წარმოადგენს სასწავლო-პედაგოგიურ დაწესებულებას – სამედიცინო განხრის უმაღლეს სკოლა “აიეტს” და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეზიდენტურის ბაზას.

კლინიკაში ფართო დიაპაზონის სამედიცინო განხრით მუშაობს 20-ზე მეტი მაღალკვალიფიციური ექიმი-ოფთალმოლოგი.

“ოფთალმიჯის” ქსელში დასაქმებული ექიმები და სპეციალისტები მუდმივად მონაწილეობენ საერთაშორისო მასშტაბის პროფილური კონგრესებისა და კონფერენციების მუშაობაში.

სურათი მესამე: ქველმოქმედება “ჯავრიშვილის ფონდის” სახელით “ოფთალმიჯის” საქმიანობაში გამორჩეულობის ნიშად მიხნეულია ქველმოქმედება. ამიტომაც, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით იგი სრულიად უფასოდ (!) მოემსახურა ათასობით ეკონომიურად გაჭირვებულ პაციენტს.

2009 წელს დაარსებული საქველმოქმედო ფონდი, მომდევნო წლების განმავლობაში, უსასყიდლოდ ასრულებდა უმაღლესი კატეგორიის ოფთალმოლოგიურ ოპერაციებს სამედიცინო-აკადემიური და შემოქმედებითი ინტელიგენციის (მხატვრები, მუსიკოსები, ლიტერატორები და მსახიობები) დახმარებისა და თანადგომის მიზნით.

სურათი მეოთხე: “ჟირაფი” – სამხატვრო-ვიზუალური კონკურსი და პრემია

მედიცინის სფეროში წარმატებული პროფესიონალის, გიორგი ჯავრიშვილის, ცხოვრებისეული ჰობი, ანუ შინაგანი და სულიერი მოთხოვნილება, გულის კარნახით წამოსული მოწოდება და გატაცება, განლაგებული არაა არაფერზე, თვალსაწიერზე საქველმოქმედო

მიზნით გაცემული დივიდენდები.

იმის თაობაზე, თუ საიდან და როდის, ვის გამო და რატომ გაუჩნდა წმინდა წყლით ნასაზრ-



ლოები კეთილშობილური მოთხოვნილება, ქვემოთ ვისაუბრებთ.

ამჯერად კი ერთი კონკრეტული კონკურსის თაობაზე, რომლის დამფუძნებელიცა და ორგანიზატორიც განლაგებულია გიორგი:

ესაა 2015 წლიდან დაარსებული კონკურსი “ჟირაფი”.



მისი შემოღების საჭიროებასა და აუცილებლობამდე მივიდა იმ რეალობიდან გამომდინარე, რომ თეატრალურ, ლიტერატურისა და მუსიკის დარგებში არსებობდა წამახალისებელი და მსტიმულირებელი პრემიები, აი, მხატვრობაში კი არა!

დიახ, ასე გაუჩნდა უდიდესი სურვილი: ერთ პიროვნულად დაეწესებინა ახალდარგობრივი კონკურსი – საქმიანი, წონადი, პრესტიჟული და პერიოდული, რომელიც გამორჩეული იქნებოდა პრემიების გამომსახველობითი სახითა და ნიშითაც!

ესოდენად გაბედული და თამამი სურვილის აღსრულება ნამდვილად ძალუძდა გიორგი ჯავრიშვილს, როგორც ქართული ფერწერული ხელოვნების გამორჩეულად ცნობილი ორი ოსტატის – საქართველოს სახალხო და დამსახურებული მხატვრების, რუსუდან ჯავრიშვილისა და დავით წერეთლის, შთამომავალსა და არა მარტო მათ სისხლსა და ხორცს, არამედ ანდერძი-

სეული მემკვიდრული შემოქმედების საგანძურის პატრონსა და მფლობელს, უიშვიათესი ვიზუალური სიმდიდრის ფასეულობის მცოდნეს!!!

შემოთ როგორც ითქვას, “ჟირაფის” კონკურსი პერიოდულია, 2-წლიანი ინტერვალით ეწყობა. ამდენად, მისი გამართვა დღემდე 3-ჯერ მოესწრო (2015-17-19 წლებში). კოვიდსიტუაციური მიმდინარე 2021-ისა, სრულიად გასაგები და იძულებითი მიზეზით, ვერ განხორციელდა და

სურათი მეხუთე: “ოფთალმიჯის” სახელოვნებო გალერეა

უკეთეს ხვალინდებობამდე არის გადადებული. “ჟირაფის” გააჩნია ნომინაციები: ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა და წლის მხატვარი (ანუ “დამსახურებისათვის” – სახვით ხელოვნებაში შეტანილი წვლილისათვის).

პირველი კონკურსის გამარჯვებულებს (2015 წ.) გადაეცათ “ჟირაფის” მინისკულპტურები და ფულადი პრემიები; 2017-ში წარმატებული ახალგაზრდა შემოქმედნი დამატებით წახალისდნენ ქ. პარიზში (საფრანგეთი) თვენახევრიანი შემოქმედებითი მივლინებით; 2019 წლის გამარჯვებულებისათვის პარიზის სამხატვრო აკადემიაში სავანგებოდ შეიქმნა მასტერკლასის კურსი.

“ჟირაფის” საპრემიო ქმნილებაა ორიგინალური სკულპტურა – ბუნებაში უწყინარი და ეგზოტიკური ცხოველისა, რომელიც ყველასა და ყველაფერს ზემოდან (სიმაღლის გამო) დაჰყურებს და ამის გამო განსაკუთრებულადაც

მოჩანს ადამიანის თვალთახედვით.

სკულპტურის ავტორია შესანიშნავი მოქანდაკე ჯონი გოგაბერაშვილი.



ლივე ამის პირველ ჭირისუფლად და დამფასებლად.

მაგრამ, როგორ, რანაირად? ღირსეული პატრონობა თავისთავად გულისხმობდა სათანადო მოვლას, ზრუნვას, მოამაგეობას...

არადა, სწორედ ასეთი ყოვლისშემძლეობა სურდა! ევრიკა – დიდმა სურვილმა დაბადა იდეა, იდეამ – რისკი!

და გარისკა გიორგი ჯავრიშვილმა. გადაწყვიტა: კლინიკის შენობის მშენებლობის პროცესში, პარალელურად, მასში შეერწყა საგამოფენო კრეატიული სივრცე – დარბაზის სახით, რომელიც სამკურნალო დაწესებულებასთან ერთიანობაში შექმნიდა ახლებურ, ანუ სასიცოცხლოდ მგრძობიარე და ფასეულ ორგანიზმს.

საბოლოოდ, მისდა გასახარად და გამამართლებლად, გაცხადდა, რომ დიდმა სურვილმა – ერთ ჭერქვეშ დაეფუძნებინა სამკურნალო კლინიკა და სახელოვნებო ART GALLERY კეთილი და ძლიერი ფესვი გაიდგა, სასურველი ნაყოფი გამოიხატა, რაზეც ამჟამად თვით ყველაზე მომთხოვნი ოპონენტებიც ეთანხმებიან.

გვერდმუხეთ, გიორგი ჯავრიშვილის კეთილშობილური სურვილი საკუთარი გულისთქმოდან მომდინარეობდა და მხოლოდ მას უგდებდა გაფაციცებულ გულისყურსაც.

# თვალსაწიერზე გახსნოყოვი ვაზი

აც ახალგაზრდობაში გაუჩნდა განცდა სამომავლო პასუხისმგებლობის ტვირთის ტარებისა, რაც მას დაეკისრებოდა, როგორც მათი სახელოვნებო განძის მფლობელსა და მეპატრონეს.

აი, უკვე მოგვიანებით კი ისიც გააცნობიერა და ითვალსაზრისა, რომ სწორედ იგი უნდა ჩამოყალიბებულიყო ყოვე-

ს ა ე რ თ ო დ , ყოველთვის, დიდი თუ პატარა სარისკო სურვილების ასრულება როცა ეწადა, ხამუშ-ხამუშ თუ ხშირ-ხშირად წამოაგონებოდა ხოლმე მამის – ვახტანგ ჯავრიშვილის ფრთიანი გამონათქვამი:

– კაცის სურვილებს, როგორც ვაზს, გასხვლა სჭირდება!

აი, ამდაგვარმა შემოქმედებითმა მუხტმა, მამა-პაპიდანა და წინაპრებიდან გადმოცემულმა, იგი აქცია სახელოვნებო სფეროს საჭიროებისათვის მხარ შემდგომად და კედლებამაშენებლად.

ამჟამად კლინიკა “ოფთალმიჯის” არტგალერიის ნათელ და გასხივოსნებულ დარბაზში დადგენილი პერიოდული – ორ თვეში ერთხელ – ეწყობა ახალ-ახალი გამოფენები.

იგი ნამდვილი ცოცხალი ორგანიზმია! და ეს განპირობებულია არა ერთჯერადი და მუდმივმოქმედი გამოფენის სახით, არამედ ცვალებადი, განახლებული წარმოდგენებით, ცნობილი ხელოვნების დანატრებულ სახელებსა და შემოქმედებას რომ შეგვახსენებს, ჭეშმარიტ ხელოვნებას გვაზიარებს და ახალბედა ავტორებსაც გვაცნობს, გზას დაულოცავს (მთლად საპრემიერო-სადებიუტო გამოფენისას მომთხოვნი დამ(თვალი)ერებლის სამსჯავროზე წარმოჩნდა და პატივი მიეგო ქართველ უცნობილეს 20 მხატვარს 40 ნამუშევრით.

სურათი მეექვსე: ქართული ემიგრანტული საგანძურის ქომაგი

გიორგი ჯავრიშვილი გვეკვლინება საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების აქტიურ მონაწილედ და სახელოვნებო პროექტის უშუალო განმხორციელებლად.

ამ ხუთიოდე წლის წინ თავისი პირადი კავშირებისა და ნაცნობობის წყალობით შეძლო, რომ საქართველოს გადმოსცემოდა ამერიკაში მცხოვრები და ცნობილი ქართველი ემიგრანტი ფერმწერის სვიმონ (პეტრე) დადიანის (1916 – 1975) მდიდარი და ფრი-

დასასრული გვ.8.

### ახალი მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა

3 დეკემბერს კასპის მუნიციპალიტეტის ახლად არჩეულმა, მეხუთე მოწვევის საკრებულომ, პირველი სხდომა გამართა.

სხდომა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა ნონიაშვილმა გახსნა, რომელმაც წარმოადგინა 2 ოქტომბრის არჩევნების მონაცემები.

საკრებულოს შემადგენლობა განსაზღვრულია 30 დეპუტატით:

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, - 10 წევრი, „ერთიანი ნაციონალური პარტია“, - 7 წევრი, პ ა რ ტ ი ა „საქართველოსთვის“, - 2 წევრი, „პატრიოტთა ალიანსი“, - 1 წევრი, მაჟორიტარი დეპუტატები - 10 წევრი.

საკრებულოს სხდომას უხუცესი დეპუტატი ზურაბ ჩადუნელი წარუძღვა და დეპუტატებს დღის წესრიგით გათვალ-

აღნიშნულის შემდეგ, საკრებულოს პირველ სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე - შოთა ბეგლარაშვილი წარუძღვა. საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით აირჩიეს მუდმივმოქმედი კომისიების და ფრაქციების თავმჯდომარეები და წევრები. შექმნილია ორი ფრაქცია:

პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ზურაბ ჩადუნელი, მოადგილეები: რამინ ჯანგიშერაშვილი, ქიტესა ხოდელი.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე ზურაბ შუკაკიძე, მოადგილეები: მარინე ვაზაგაშვილი, ალექსანდრე შაქარაშვილი.

ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ხათუნა თათანაშვილი, კომისიის შემადგენლობა: ხათუნა



აშვილი, კომისიის შემადგენლობა: გიორგი დარბიაშვილი, თეა გულიკაშვილი-ხარატიშვილი, ლევან გახელაძე, ზურაბ ჩადუნელი, ილია ქაშხაძე, ალექსანდრე ბიძინაშვილი, მაია კაციაშვილი, ბადრი ჯანიაშვილი, ალექსანდრე შაქარაშვილი, ჯაბრაილ ნორუზოლი.

ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ალექსანდრე ბიძინაშვილი, კომისი-

### შენვედრა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ

დასასრული. დასაწყისი იხ. გვ2.

მოქმედ სოციალურ საწარმო „წნულს“ და კასპში მცხოვრებ ეტლით მოსა-

რგებლე 18 მოქალაქეს დონორი ორგანიზაცია „LDS charities“-ის მიერ შეძენილი სწორად მორგებული ეტლები უსასყიდლოდ გადასცეს. ვახტანგ

მაისურაძემ მათ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე ზრუნვისათვის და სამომავლო თანამშრომლობისათვის.



### ჯორჯიაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია

კასპში ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, ასფალტის პირველი ფენის დაგების სამუშაოები კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, მოადგილე დავით ქიშიშვილთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროს ანკო გიგოლაშვილთან ერთად ადგილზე დაათვალიერა.

ასფალტის ფენის დაგებაზე ქუჩაზე შეიკვალა სასმელი წყლის გაყვანილობა, ჩატარდა მო-

სამზადებელი სამუშაოები - მოეწყო გზის საფუძველი და სანიაღვრეები. ქუჩაზე, პარალელურად, საფენმავლოების მოასფალტება მიმდინარეობს.



### სსონის ტურნირი კარატეში

კასპის სპორტკომპლექსში გაიმართა ლევან მამუკაშვილის სახელობის ტურნირი კარატეში.

ტურნირში მონაწილეობა მიიღო 260

ფუნებელს ალექსანდრე მანძულაშვილს კარატეში 30-წლიანი შრომისა და გაწეული ღვაწლისათვის საჩუქრად კიმანოს საქართველოს ემბლემა, ოქროს კალმისტარი და



სპორტსმენმა საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან.

ტრაგიკულად დაღუპული ლევან მამუკაშვილის სახელობის ტურნირი ტრადიციულია კასპში და უკვე რამდენიმე წელია ტარდება.

საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ, კარატეს კლუბი „კასპის“ დამ-



ალი კორკომაშვილი კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.



5 000 ლარიანი ვაუჩერი გადასცა.

ალექსანდრე მანძულაშვილის გადაწყვეტილებით ვაუჩერი მოხმარდება მისი აღსაზრდელების სატურნირო დაფინანსებას.

კასპის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს და წარმატებებს უსურვებს ალექსანდრე მანძულაშვილს.



ისწინებული საკითხები გააცნო.

საკრებულოს წევრებმა დროებითი სამანდატო და ხმის დამთვლელი კომისიები აირჩიეს. მოგვიანებით კი, დეპუტატებმა ახლად არჩეული საკრებულოს წევრების უფლებამოსილების ცნობის საკითხს ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ დეპუტატებმა ფარული კენჭისყრით აირჩიეს შოთა ბეგლარაშვილი, თავმჯდომარის პირველ მოადგილედ თამაზ ტატანაშვილი, მოადგილეებად: გიორგი მჭედლიშვილი, თეა გულიკაშვილი-ხარატიშვილი.

თათანაშვილი, თამაზ ტატანაშვილი, ქიტესა ხოდელი, გიორგი დარბიაშვილი, მაია ბენიაშვილი, ნუკრი მიდელაშვილი, შოთა ბეგლარაშვილი, გიორგი შარიფაშვილი, მარინე ვაზაგაშვილი.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - ილია ქაშხაძე, კომისიის შემადგენლობა: ილია ქაშხაძე, რამინ ჯანგიშერაშვილი, გიორგი მჭედლიშვილი, ლევან გახელაძე, იოსებ მამულაშვილი, ხათუნა თათანაშვილი, მაია ბენიაშვილი, გიორგი ქვრივიშვილი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - გიორგი დარბია-

ის შემადგენლობა: ალექსანდრე ბიძინაშვილი, იოსებ მამულაშვილი, ბეგი თათრიშვილი, ბადრი ჯანიაშვილი, მაია ბენიაშვილი, შოთა ბეგლარაშვილი, რამინ ჯანგიშერაშვილი, თეა გულიკაშვილი-ხარატიშვილი, მირანდა თვარაძე, ნონა დვალიშვილი.

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნუკრი მიდელაშვილი. კომისიის შემადგენლობა: ნუკრი მიდელაშვილი, გიორგი მჭედლიშვილი, ქიტესა ხოდელი, თამაზ ტატანაშვილი, გიორგი ქვრივიშვილი, ზურაბ ჩადუნელი, ბეგი თათრიშვილი, ზურაბ შუკაკიძე, ალექსანდრე შაქარაშვილი.

სპორტ INFO

მიწურული სპორტული მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და დაუნიწყარი გამარჯვება-წარმატებით იყო აღსავსე. კოვიდპანდემიური წინააღმდეგობანი რომ არა, ქართველ სპორტსმენთა მღწევეები, როგორც შიდასაქვეყნო, ისე საერთაშორისო მასშტაბით, გაცილებით მეტი და უფრო სასახელო იქნებოდა.

როგორ იყო 2021 წლის სპორტული სეზონი კასპელი სპორტსმენებისათვის?

ქვემოთ ყოველივე ამის მიმოხილვას ცალკეული თვეების მიხედვით ნაჩვენები შედეგების უკუთვალის გადავლებით შევეცდებით.

+++

წლის საწყის თვეებში - იანვარსა და თებერვალში - ფაქტიურად, ჩვენი გოგო-ბიჭები "შოლოდინის რეჟიმში" იმყოფებოდნენ, რადგანაც ეს იყო იძულებითი "ტაიმ-აუტის" პერიოდი.


მარტი: პირველი, ვინც საჩემპიონო მართონში წარმატებით გამოვიდა, 30 წლის ბექა ბერძენიშვილი აღმოჩნდა. ნაცადმა, ტიტულოვანმა მოჭიდავემ მკერდი საქართველოს ჩემპიონის მედლით დაიმშვენა. ბარემ აქვე ვიტყვით, საბოლოო გამართული საქვეყნო პირველობიდან კასპელმა კიდევ 2 მედალი წამოიღეს თბილისიდან: "ბრინჯაო" ირგუნეს, ასევე, 30 წლის გიორგი კანკავამ და 20 წლის დიმიტრი კუნდუხაშვილმა.

მანამდე, ერთი კვირით ადრე, ჩატარდა კადეტთა ჩემპიონატი სამბოში და ვალერი მღებრიშვილის იქ მოპოვებული მე-3 ადგილი და, შესაბამისად, ბრინჯაოს მედალი აღმოჩნდა პირველი ჯილდო, საერთო სასპორტო ყულაბაში რომ მივიტოვალეთ.

აპრილი: ჭიდაობა ძიუდოში საქართველოს ჩემპიონი გახდა 17 წლის სანდრო ახლოური - კასპელი მოსწავლე თბილისის "შეკარდენის" კლუბში ვარჯიშობს ცნობილ მწვრთნელთან, გურამ მოდებაძესთან, თუმცა ჭაბუკი კასპის საჭიდაო სკოლის აღზრდილია.

ქართული ჭიდაობის ეროვნულმა ფედერა-

ციამ ახალგაზრდული ჩემპიონატი ქ. კასპში ჩაატარა. "მასპინძლის ფაქტორმა" ვერ გაამართლა - ადგილობრივი ჩოხოსანი მოჭიდავეებიდან გამარჯვებულის კვარცხლბეკზე



ასვლა მხოლოდ ირაკლი დემეტრაშვილმა შეძლო. საქართველოს პირველობას "შოტოკან-კარატეში" თბილისმა უმასპინძლა. კასპის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების წარგზავნილებმა ბარაქიანი გაზაფხული დაიყენეს. ჩემპიონებად დაგვიბრუნდნენ: მარიამ მანძულაშვილი, თამაზ ნავროზაშვილი და ლანა დავითაშვილი (იქვე ვეტერანებში პირველადგილილოსანი გახდა ალექსანდრე მანძულაშვილი, ხოლო მეორე - ლევან მამულაშვილი).

მაისი: საქართველოს მოსწავლეთა პირველობა კრივში გაიმართა შავიზღვისპირა ფოთში. იქ პირველად გამოჩნდა კასპის წარმომადგენელი სპორტის ამ სახეობაში. სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლის მოსწავლემ, საბა ბერიაშვილმა, მე-3 ადგილი დაიკავა. ვფიქრობთ, ახალბედა მოკრივე ახლო ხანებში მეტს მიადწევს.

მაგდის ჩოგბურთის თამაშმოყვარული თამაშობისა და 15 წლის ლუკამ - შიდა ქართლის მხარის თანატოლთა პირველობაზე მე-2-3 ადგილები დაიკავეს (მათ მერე ქ. თბილისშიც ითამაშეს ფინალურ ეტაპზე, რითაც გარკვეული გამოცდილება შეიძინეს).

ივნისი: ევროპის ჩემპიონის ტიტული მესამედ მოიპოვა მძიმე-

წონოსანმა სამბოელმა ბექა ბერძენიშვილმა. ძალოსნობაშიც გამოჩნდა ახალი სახელი, თანაც, ხმაურიანად, სულ მალე ოლიმპიურ თამაშებსაც რომ შეებედავს:

ტაეკვონდოში, ეროვნული ჩემპიონატის პროგრამით (ქ. ბათუმი), გაჩემპიონდა მარიამ მანძულაშვილი, ხოლო ვიცე-ჩემპიონები გახდნენ თამაზ ნავროზაშვილი და გიორგი შერმადინი (სამივე კასპის "კარატე-დოს" კლუბის წევრია). ივლისი: საქვეყნო პირველობაზე კვლავ გაიმარჯვა ძაღისძიური ვოლკიმის სახეობის სპორტსმენმა სიმონ ორბელაშვილმა, თანაც, საქართველოს ახალი რეკორდით: ქ. თბილისში მან, ამჯერად, 155 კგ. დააფიქსირა! სპორტგაერთიანების წარმომადგენელმა სპორტსმენმა მოსწავლეებმა ამ თვეში იასპარეზეს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ჩატარებულ რამდენიმე სახელობით და მემორიალურ ტურნირში: ქართულ ჭიდაობაში - სამთავისში, კარალეთში, ძიუდოში - ბოლნისსა და ხაშურში, კარატე-დოში - ქუთაისში.

აგვისტო: ევროპის თასის გათამაშება კონტინენტის ჭაბუკი ძიუდოისტებისათვის მოეწყო ქ. უდინეში (იტალია). მძიმეწონოსანთა შორის იქ ქართული ფინალი შედგა. გადამწყვეტი ორთაბრძოლა დათმო ჩვენებურმა ირაკლი დემეტრაშვილმა. სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ გამარჯვებული საბა ინანიშვილი არა მარტო



(უფროსთა შორის). იქვე ჭაბუკებში, ასევე, პირველი იყო გიორგი ახვერდოვი, ხოლო მოსწავლეებში მესამე - ილია კაციაშვილი.

კიკბოქსინგში "კასპური ტალღის" საიმედო წარმომადგენელი სხვებიც არიან, მაგალითად: ნიკა ბერიანიძე, თორნიკე კაციაშვილი, გიორგი პეტრიაშვილი. მათ ქ. ერევანში იასპარეზეს საერთაშორისო ტურნირის რინგზე და პირველი-მეორე ადგილები დაიკავეს.

სექტემბერი: საქართველოს ფეხბურთელ ქალთა ნაკრებში რამდენიმე მატჩი ითამაშა კასპელმა ეთერი სულაშვილმა. ეროვნულ გუნდში მას დებიუტი შარშან ჰქონდა. ეთერი ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი

გოლეადორია ქ. გორის "იუნაიტედში". ოქტომბერი: საქართველოს საფეხბურთო პირველობის რეგიონული ლიგის გათამაშების მე-5 დივიზიონში მოასპარეზე "კასპი - 1936"-ის ფეხბურთელებმა საკუთარ მოედანზე გამართული 2 მატჩიდან 50-პროცენტის შედეგი აჩვენეს: ხაშურის "ივერიას" სძლიეს - 2 : 1, ხოლო თბილისის "ვარკეთილთან" მარცხი იწვნიეს - 0 : 3.

ნოემბერი: წლევიანდელი შემოდგომის ბოლო თვე ყველაზე ბარა-

მონაგარი - ყოვირწონისა, შეიღებები - თყოითა!

ვილმა ვეტერანთა (41-46 წ.წ.) გამოსვლაში მხოლოდ ფინალური შეხვედრა დათმო. ასევე, კასპში მე-3 ადგილისათვის განკუთვნილი ჯილდოთი დაბრუნდა ალექსანდრე ბერიანიძე.

ძიუდოისტი ჯაბა პაპინაშვილი შესანიშნავად გამოვიდა ქ. ბაქოს (აზერბაიჯანი) "გრანდ სლეიმის" საჭიდაო ტურნირში. მან ყველა მეტოქესთან აღმავლობით ჩაატარა შეხვედრები და ისინი ვადამდე განართხო ტატამზე. ჯაბა კასპის ზღვისპირული "შავი ოქროს" დედაქალაქიდან

ნოემბერი: წლევიანდელი შემოდგომის ბოლო თვე ყველაზე ბარა-



ქიანი კასპელი კატარისტებისათვის გამოდგა. ისინი საკმაოდ წარმომადგენლობითი გუნდით წარდგნენ თურქეთის დედაქალაქის, სტამბოლის, სპორტსახსნელში, სადაც მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა შოტოკანკარატეში და საასპარეზოდ 45 ქვეყნის 1000-მდე სპორტსმენი შეიკრიბა.

გუნდის შემადგენლობაში 5 სპორტსმენი შედიოდა და ყველამ შეძლო მედლის მოპოვება, თანაც, არა მარტო ერთ სახეობაში, მაგალითად, მარიამ მანძულაშვილმა თანატოლებში გამარჯვების შემდეგ "შობუიპონში" მოსინჯა თავი და იქ მე-2 ადგილი დაიკავა. თამაზ ნაბახტველმა 3-ჯერ მოახერხა კვარცხლბეკის მეორე-მესამე საფეხურზე ასვლა, ხოლო ელენე ჩიტიშვილმა - 2-ჯერ.

მსოფლიო ჩემპიონ ქალიშვილს თავისებურად აუბა მხარი მამამ, პირადმა მწვრთნელმა - ალექსანდრე მანძულაშ-

ვილმა ვეტერანთა (41-46 წ.წ.) გამოსვლაში მხოლოდ ფინალური შეხვედრა დათმო. ასევე, კასპში მე-3 ადგილისათვის განკუთვნილი ჯილდოთი დაბრუნდა ალექსანდრე ბერიანიძე.

ძიუდოისტი ჯაბა პაპინაშვილი შესანიშნავად გამოვიდა ქ. ბაქოს (აზერბაიჯანი) "გრანდ სლეიმის" საჭიდაო ტურნირში. მან ყველა მეტოქესთან აღმავლობით ჩაატარა შეხვედრები და ისინი ვადამდე განართხო ტატამზე. ჯაბა კასპის ზღვისპირული "შავი ოქროს" დედაქალაქიდან

ნოემბერი: წლევიანდელი შემოდგომის ბოლო თვე ყველაზე ბარა-

ქიანი კასპელი კატარისტებისათვის გამოდგა. ისინი საკმაოდ წარმომადგენლობითი გუნდით წარდგნენ თურქეთის დედაქალაქის, სტამბოლის, სპორტსახსნელში, სადაც მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა შოტოკანკარატეში და საასპარეზოდ 45 ქვეყნის 1000-მდე სპორტსმენი შეიკრიბა.

გუნდის შემადგენლობაში 5 სპორტსმენი შედიოდა და ყველამ შეძლო მედლის მოპოვება, თანაც, არა მარტო ერთ სახეობაში, მაგალითად, მარიამ მანძულაშვილმა თანატოლებში გამარჯვების შემდეგ "შობუიპონში" მოსინჯა თავი და იქ მე-2 ადგილი დაიკავა. თამაზ ნაბახტველმა 3-ჯერ მოახერხა კვარცხლბეკის მეორე-მესამე საფეხურზე ასვლა, ხოლო ელენე ჩიტიშვილმა - 2-ჯერ.

მსოფლიო ჩემპიონ ქალიშვილს თავისებურად აუბა მხარი მამამ, პირადმა მწვრთნელმა - ალექსანდრე მანძულაშ-

ვილმა ვეტერანთა (41-46 წ.წ.) გამოსვლაში მხოლოდ ფინალური შეხვედრა დათმო. ასევე, კასპში მე-3 ადგილისათვის განკუთვნილი ჯილდოთი დაბრუნდა ალექსანდრე ბერიანიძე.

# გილოცავთ იუბილოც!

## ასე იქნება მომავალში

გაზეთის ვეიტხულობ 1965 წლიდან. დაინტერესებული ვარ და ვიყავი მუდმივად ჩემი რაიონის როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ასევე კულტურული, შემოქმედებითი და სპორტული ცხოვრებით.

თქვენს გაზეთში ყოველთვის იყო ამ საკითხებზე გულთან მიტანილი განხილვები და ანალიზები.

გაზეთის თემატიკა და პერიოდულობა, გაფორმების ხარისხი მისაღებია.

ბეჭდვით მედიას თავისი ადგილი აქვს და ასე იქნება მომავალშიც.

გაზეთი "ახალი განთიადი" ჩვენი რაიონის მაჯისცემას უსმენს და ინახავს ქალაღზე. ასე გააგრძელოს შემდგომშიც. ვუსურვებ წარმატებას გაზეთ "ახალ განთიადს" და ჩვენს მუნიციპალიტეტსაც.

თამაზ ნიპარიშვილი, შპს "ფერმერთა მომსახურების ცენტრის" დირექტორი.

ერთი ქართული სიმღერისა არ იყოს, დრო დროზე ჩქარა მიქროდა და მიქრის, მიქრის და თავის სურვილით გვაჩვენებს ახალს, მოულოდნელს. ფეისბუქიც ახალი დროის პირშეა, თავისი წეს-კანონით. მოგვწონს თუ არა მას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა, შეცვალა წახილის და სიხარულის გამოთქმის ფორმა და წესი. სხვათა შორის, გაზეთის იუბილე ფეისბუქითაც მოგვილოცეს და რადგან გაზეთი ჩვენი საერთო ისტორიის ნაწილია, მადლიერებით გაგაცნობთ მათ ვინაობას:

ლიკა დალაქიშვილი, მათა ბათილაშვილი-ნონიაშვილი, ეკატერინე ყაზარაშვილი, მარიამ ცინცაძე, ლევან მესროფაშვილი, თეა მერებაშვილი, თეონა ბენაშვილი, ნინო მორდელიძე, მაიკო ქესაური, ლალი მლაძე, გულიკო ჩხაიძე, ნანა მერებაშვილი, თამარ ამილახვარი, ჯულიეტა ხაჭაპურიძე, მაია გაბოძე, მიშა გოგიბედაშვილი, ია ქაძახაძე, ნინო კვიციანიშვილი, ელენე ჩადუნელი, ია ირემაშვილი, ქეთინო გურგენიშვილი, ლალი გიგოლაშვილი, ფოტინე ჯაჯანიძე, მაია ჩოლოყაშვილი, ნანა ოთარაშვილი, ჯენეტი ტყემალაძე, ეკა გურგენიძე, მაია დაბრუნდაშვილი, ნუნუ ბერიძე, მანანა მერებაშვილი, ინგა ინასარიძე, ვენერა ამირეზაშვილი, რუსა აბუაშვილი, ლია გაგოშიძე, ინგა შაქარაშვილი, ნიკა ხაჩიძე, მანანა ჩერქეზიშვილი, ნინო ალაბიშვილი, დალი კოტიაშვილი, თამილა პავლიაშვილი, თინა შათირიშვილი, დოდო ვარდოშვილი, ია ქვლივიძე, ნუნუ გელხაური, ლალი ბახტაძე, ქეთი ნონიაშვილი, ნინო შევარდნაძე, ნათია სუხაშვილი, თამუნა ხოკრიშვილი, მანანა გოჭოშვილი-კელაპტრიშვილი, ლია ღვინიაშვილი, ჯულიეტა ტატანაშვილი, თამუნა ნიპარიშვილი, ნანა ქურთაული, მზია ხელაშვილი, ნელიკო ბერიანიძე, ვერიკო მღებრიშვილი, თინა მეშველაშვილი-მესხი, ნორა ედიშერაშვილი, დალი ბაისონაშვილი, გოჩა ჩადუნელი, მაია არველაძე, ნაირა ხიზანიშვილი, ნანა

კვერციანიშვილი, იზოლდა ბერიანიძე, ეკა წკრიალაშვილი, ქეთი გეჯაძე, ეკა დალაქიშვილი, ელზა გახელაძე, ციკო ქარელი, ფიქრია ფირანიშვილი, ნინო ქარქაშაძე, ნანი ბარნაბიშვილი, რობერტ მალაქელიძე, ცირა სუხაშვილი, შალვა დალაქიშვილი, მარინა სუხაშვილი, მარინა მენაბდიშვილი, ნანა ბუნტური, თამარ ხიზანიშვილი, მათა ვადაჭკორია, მათა მერებაშვილი, ნათია მერებაშვილი, ქეთინო გახელაძე, მარინა აბუაშვილი, ირმა ჟივიძე, მაკა ბერიანიძე, ხათუნა ადიკაშვილი, ელზა დეკანოიძე, მარინე კოშაძე, გიული კალატოზიშვილი, ნინო თინიკაშვილი, ზაზა კლიმაშვილი, ოლია მამისურაძე, ეთერ ჩადუნელი, მიხეილ ხაჩიძე, ქეთი მერებაშვილი, გულო გიგაური, ხათუნა ჟივიძე, ლია ჯახველაძე, მზია მერებაშვილი, თამარიკო კობაძე, მაგული დოლიკაშვილი, ლია მჭედლიშვილი, ლია ცხადაძე, რამინ ყურაშვილი, სოფიო ცუცუნაშვილი-ფავლენიშვილი, ლალი ასლანიშვილი.

ზაზა დალაქიშვილი, ლელა მიქელაძე, მარინე ბერიანიძე, მაია კლიმაშვილი, გიორგი მჭედლიშვილი, ლეილა დათაშვილი, მარიამ კიტირაშვილი, ქეთინო თავკიაშვილი, მაია მერებაშვილი, მაია ლაბაძე, მაია ოღოშვილი, ქეთი კალანდაძე, მზია ტერტერაშვილი, ირმა იმერლიშვილი, მანანა შალუტაშვილი, ლია ჩუბინიძე, ხათუნა ბახუაშვილი, მარინა ნაგელიშვილი, მარინა ყიფშიძე, ლალი ტურტულაძე, თეა ხორბალაძე, მაია აბუაშვილი, ბარბარე ზარიძე, ხორეშან ჯინჭელიშვილი, მარინა ალაბიშვილი, თამარიკო რუსიშვილი, ნინო ჯინიყაშვილი, დალი ხვთისიაშვილი, მაიკო ქესაური, მაია მალაფერიძე, ლიკა ყიფშიძე, მაია ქსოვრელი, ქეთი გიორგაძე, ნელი თინიკაშვილი, მარინე პავლიაშვილი, ეკა გოგიშვილი, მაია მარჯანიძე, ნინო მერებაშვილი, ლენა კაპანაძე, ელიზა ცერცვაძე, დალი იმედაშვილი, ნანა მალაფერიძე, ელიზა დაბრუნდაშვილი, ლელა გიგოლაშვილი, ცირა შაქარაშვილი-ხერეკიძე, ლალი მერებაშვილი, ლალი ჯანჯალაშვილი, მარინა დალაქიშვილი.

## Facebook სივრცეში - ჩვენნი



90 წელია, რაც პირველმა გამოშვებამ დღის სინათლე იხილა! იყო ორგანოს გაზეთი და ჰქონდა დაფინანსება, იყო ტირაჟი და იყო ყოველი ახალი ნომრის გამოსვლის მოლოდინი.

ბევრი წელია, სამი ადამიანის დიდი ძალისხმევითა და, არ ვაზვიადებ, თავდადების შედეგად იქმნება უკვე დამოუკიდებელი გაზეთი "ახალი განთიადი"! მინდა რედაქციას და განსაკუთრებით მის რედაქტორს, ქალბატონ ნანა მერებაშვილს, მივულოცო გაზეთის გამოსვლიდან ეს დღისეული საიუბილეო

თარიღი და ვუსურვო გამძლეობა, ამტანობა და შემოქმედებითი წინსვლა! გაზეთი უძლებს ყველა გამოწვევას, ზედმიწევნით პასუხობს და ესადაგება ახალ ტექნოლოგიებს და შინაარსობრივად და ესთეტიურად პასუხობს ყურნალისტური ეთიკის ყველა კანონს! ნანა, ამირან, მარინა, გილოცავთ!

ჩემს მუნიციპალიტეტს ვულოცავ და ვისურვებდი, ღირსეულად დაფასებულიყოს საუკუნეს მიტანებული მოვლენა და ამ მოვლენის ყველა მონაწილე!



## ვულოცავ გაზეთის თანამშრომლებს

კასპის მუნიციპალიტეტის გაზეთ "ახალ განთიადს" დაარსებიდან 90 წელი, ხოლო მის რედაქტორს ქალბატონ ნანა მერებაშვილს რედაქტორობიდან 30 წელი შეუსრულდა. ვულოცავ ქალბატონ ნანას და მის პატარა გუნდს ამ საიუბილეო დღეს, ვულოცავ ასევე გაზეთის ყოფილ თანამშრომლებს. ვუსურვებ წინსვლას, წარმატებებს, ბევრი სასიხარულო და საინტერესო ამბის გაშუქებას.

გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მისი რედაქტორის ქნანა მერებაშვილისა და მისი მცირე გუნდის დამსახურებაა. მათ დიდი გავლენებისა და სიმბოლოების მიუხედავად, შეძლეს გაზეთისთვის სიცოცხლის შენარჩუნება. თუ ვინმე კარგად იცნობს გაზეთის ისტორიას და მისი შემოქმედებითი გუნდის საქმიანობას, მათ შორის ერთ-ერთი მეც ვარ. გაზეთის ყველა ნომერს გაცნობილი ვარ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ. სწორედ გაზეთის ფურცლებიდან ჩვენი მუნიციპალიტეტის შესახებ მიღებულია საინტერესო ისტორიები და ამბები, ჩემს შემოქმედებით საქმიანობაზე დიდი გავლენა იქონია და კიდევ უფრო მეტად შემავარა ჩვენი რაიონისა თუ ქალაქის ისტორია. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ძალიან მწირი ბიუჯეტის გამო, გაზეთი მცირე ტირაჟით იბეჭდება, რის გამოც მისი გაცნობის საშუალება ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდ ნაწილს არ ეძლევა. იმედს ვიტოვებ, რომ შემდგომში ორგანოები გაითვალისწინებენ ამ ამბავს და უფრო მეტ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

კიდევ ერთხელ ვულოცავ გაზეთს იუბილეს. წინსვლას და წარმატებებს ვუსურვებ. პატივისცემით, თქვენი დიდი გულშემატკივარი ვანო ჯახუა.



## 30 წელი!

პრესტიჟული და პერსპექტიული სამსახური დაატოვებინეს დედაქალაქში.

პროვინციული ქალაქის გაზეთის რედაქტორობა იტვირთა. შვილი არ ჰყავსო.

შეინარჩუნა! მოეფერა! გაზარდა! რის ფასად, მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა ვიცით. თავადა რედაქტორიც, გრაფიკოსიც, ამწყობ - დამკაბადონებელიც, შემოქმედიც დახვეწილი, გამართული, გემოვნებიანი გამოცემისა! არა მხოლოდ გაზეთს, მის საუბარს, ცხოვრების წესს, მუდმივად და მოკრძალებულად უკან ხედზე დგომას, მის შესაშურად გამართულ და ღრმა აზროვნების ნაწერს კვალის ამჩნევია - ჯერ გოგლიკოსა და დალის ოჯახში გაზრდილობისა, მერე ყურნალისტიკის უდიდესი მეტრის, ბატონი ნოდარ ტაბიძის სკოლისა!

შემაჩვენებს ამ პოსტისათვის, მაგრამ ეგრეთები ამიტანია?! 30 წელია ემსახურება კასპის ისტორიის

შექმნას! 30 წელი! მაკანმა თუ ტანსაცმელი შემოიხია ვარსკვლავისათვის, მისმა 30 - მა წელმა უხმაუროდ ჩაიარა!

გაზეთის იუბილე აღნიშნა გაზეთშივე! ის 30 წელი, უსინათლობაში, გაჭირვებაში, უმწირეს ანაზღაურებაში, გაუსაძლის გულისტკენებში და მაინც შენარჩუნებული გაზეთის არსებობის წლებია!

ტელევიზია ვერ გადავარჩინეთ! გაზეთი ნანამ გადაარჩინა! რითი არაა ეს გმირობის ტოლფასი?! გაზეთი ნანას შვილია!

ყოველ დროს ღირსებით შემკული რედაქტორები ჰყავდა "განთიადს", ნანამ ესტაფეტა კიდევ უფრო დახვეწილი ღირსებით გააგრძელა! შეიხედეთ მის საცხოვრისში, დასტურში - როგორ უნდა იცხოვროს ზნეობრივად სრულყოფილმა პიროვნებამ!

გილოცავთ, ნანა! ღმერთმა მოგცეს ჯანი და გაძლებს ოფსილა! ლია მენაბდიშვილი.

ნიმუ მოდრაქილაკი

კასპი და ბავშვობა

ლექსში ვამბობ: „ქართლი, ჩემი ბედისწერა, გახდა ჩემი სალოცავი“ ...

დავიბადე კასპში და ბავშვობა ულამაზეს სოფელ კავთისხევში, თვალადმი გავატარე. ზნეკეთილ ადამიანზე იტყვიან ხოლმე, როგორი გულქართლიაო... მეც სწორედ ასეთ გულქართლ, კაცთმოყვარე, ალალ და კეთილ ადამიანთა გარემოცვაში ამეხილა გულის თვალი.

ბავშვობაში თვალადი იყო ჩემი საქართველო. სამი წელი ვისწავლე ნიკო ცხვედაძისეულ სახლში, სადაც იმჟამად სკოლა იყო განთავსებული. სულ მესმოდა, რომ ამ კედლებში დაიწერა იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა“, დღემდე მეთბილება ის გარემო... მესმოდა, რომ ამ სოფელში დაიწერა გიორგი შატბერაშვილის „თვალადური ქართულის ჭაშნიკი“, „მკვდრის მზე“ ... კრძალვით მივდიოდი ძღვევის ქედზე, მისალოცავთან, ქუთახევი, კავთაში... და უზარმაზარი მთებიც ზღაპრებიდან გადმოხსულებს ჰგავდნენ.

სამი კლასის შემდეგ კასპის პირველი სკოლის მოსწავლე გავხდი. ჩემი თვალსაწიერი უფრო გაფართოვდა. აზროვნებაში შემოვიდა უფრო დიდი და მნიშვნელოვანი ცნებები, სამშობლოს ხატებაც უფრო გაიზარდა, გაფართოვდა.

ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ლექსის, სიტყვის სიყვარული მასწავლეს... ჩემი მასწავლებლები - ყველას სიყვარულით ვეფერები და მადლიერი ვარ. სულ მახსოვს თითოეულის მხარდაჭერა, მოტივაციის მოძებნა და მოკიდებულებები, თუმცა, ნათია სუხაშვილი და მაია დაბრუნდაშვილი - გამორჩეულად ზრუნავდნენ ჩემზე... სრულიად უანგაროდ და გულწრფელად შემასწავლა ნათია მასწავლებელმა არა მხოლოდ ლიტერატურა და ენა, არამედ კრიტიკული აზროვნება და ტექსტის სიღრმეებში შესვლა.

დღეს სადაც უნდა ვიყო, ჩემი ფესვები, ჩემი დედა სოფელი, დედა ქალაქი, სკოლა... სადაც ჩემი ცხოვრების ძალზედ სენსიტიური პერიოდი მაქვს გავლილი, სულ ჩემს ხსოვნაშია, როგორც ძველი შედეგრი, ფასდაუდებელი, ხელშეუხებელი, ძვირფასი საბადო, როგორც ამოუწურავი და უღლები სიკეთე.

მე და პოეზია პოეზია, ჩემი გააზრე-

ბული ცხოვრების მანძილზე, სულ ჩემთან არის.

ბავშვობაში ვწერდი არა მხოლოდ ლექსებს, არამედ ჩანახატებსაც.

დღეს მეცინება, როცა იმდროინდელ ნაწერებს ვკითხულობ, მაგრამ ძველი ნაწერები ძალიან კარგი საშუალებაა, გაიგო, როგორ გაიზარდე, დააკვირდე საკუთარი შემოქმედებითი და პიროვნული განვითარების დინამიკას.

პირველი მკითხველები ოჯახის წევრები იყვნენ ხოლმე. შემდეგ კი - ჩემი ქართულის მასწავლებელი - ნათია სუხაშვილი.

ნათია მასწავლებელი ძალიან მომთხოვნი იყო. წაიკითხავდა ლექსს და მეტყობდა, მეტი შეგიძლიაო... ასეც მითხრა, ამას ლექსებს ვერ დავარქმევთ... არ მწყინდა, პირიქით, ვენდობოდი მის ლიტერატურულ გემოვნებას, ვხედავდი, როგორ ეფერებოდა ნაწარმოებებს, როცა გაკვეთილს გვიხსნიდა.

მოტივირებული ვიყავი, რაიმე ღირებული დამეწერა, ისეთი, რომ ჩემს მასწავლებელს მოსწონებოდა... ერთხელაც მივუტანე ფურცელზე დაწერილი ლექსი - „რაც ქართულია“... ჯერ თვალთ გადაიკითხა, შემდეგ - ხმამაღლა და თქვა, ეს შედეგიაო. რა თქმა უნდა, შედეგში იგულისხმა, სხვა დანარჩენი ლექსების ფონზე, კარგი ლექსი...

დაახლოებით, თორმეტი წლის ვიქნებოდი, როცა პირველი ლექსი დაიბეჭდა კასპის გაზეთში, „განთიადი“. საიდანაც თურმე ჩემი ლექსი წარედგინა შემოქმედებით კონკურსზე, გორში და სრულიად მოულოდნელად, მე და ჩემი მასწავლებელი დაჯილდოებაზე მიგვიწვიეს. დაიბეჭდა გამარჯვებულ მოსწავლეთა პოეტური კრებული, „ოცნება“ და სწორედ ამ დროს გაეცანი პოეტი ჯემალ ინჯია, რომელთან მეგობრობა დღემდე გრძელდება.

ამის შემდეგ იყო არა ერთი ლიტერატურული თუ შემოქმედებითი კონკურსი.

სკოლას მოჰყვა უნივერსიტეტი. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, მოგესწინებათ, ყველა წერს, მეგობრების წრეში ვმართავდი პოეზიის საღამოებს და ჩემი ლექსებიდანაც გამოიკვეთა რამდენიმე, რაც უკვე გამორჩეულ ყურადღებას იქცევდა.

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ვმუშაობდი კორექსორდენტად მედია პოლინგ „ჯორჯიან თაიმსის“ ერთ - ერთ გაზეთში, „ექო“, სადაც სოციალურ თემატიკას ვამუშავებდი. უნდა აღვნიშნო, რომ წერა არც ერთ ეტაპზე

არ შემჩერებია.

ლიტერატურული საქმიანობა:

უკვე გააზრებულ ასაკში აქტიურად ჩავერთე ლიტერატურულ პროცესებში. ჩემი ლექსები დაიბეჭდა სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალსა და კრებულში. ესენია:

„ოცნება“ (1995 წ. გორი), „გარა“ (2013 წ. თბილისი), „ლექსების გამოფენა“ (2013, 2014, 2017, 2019 წწ. ბათუმი), „ზეკართან“ (2013, 2014, 2015 წწ. შუახევი), „გამოუქვეყნებელ ლექსთა კრებული“ (2014 წ. თბილისი), „ემიგრანტის წერილი“ (2014 წ. თბილისი); „მოდინახე“ (2015 წ. საჩხერე), „ოდეონი“ (2015 წ. ხარაგაული), „წმინდა ნინოს ჯვარი“ (2015 წ. თბილისი), „ინსპირაცია“ (2015 წ. თბილისი), „13 სტიქია“ (2015 წ. თბილისი). 2021 წ. „ქართული პოეზიის ანთოლოგია“; „დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს“; ასევე, მოვკანებით, მთარგმნელთა კოლეგიის სახელით, გამოიცა თარგმანები - 2020წ. „ფრანჩესკო პეტრარკა - 100 სონეტი“ და „თურქული პოეზიის ანთოლოგია“;

პერსონალური პოეტური კრებულები:

„სულის ქარები“ - 2014 წ (რედაქტორი გიული ჩქარეული);

„ფერნაცვალ ფიქრთან“ - 2016 (რედაქტორი გივი ჩიღვინაძე);

„ქაკაცა“ - 2018 (რედაქტორი გიორგი ხორბალაძე).

სხვადასხვა წლებში აქტიურად ვმონაწილეობდი ლიტერატურულ კონკურსებში.

2018 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის გორის სამხარეო ორგანიზაციამ მომანიჭა გიორგი შატბერაშვილის პრემია.

რაც შეეხება კონკურსებს, მიღებული მაქვს შემდეგი პრემიები:

„წმინდა ნინოს ჯვარი“ - ქრისტიანული პოეზიის მე - 6 ფესტივალი, 2016 წ. I ადგილი;

„ოდეონი“ (ხარაგაული) - 2015 წ. III ადგილი;

„მოდინახე“ (საჩხერე) - 2016 წ. III ადგილი;

„ემიგრანტის წერილი“ - 2016 წ. III ადგილი;

„ლექსების გამოფენა“ (ბათუმი) 2017 წ. - II ადგილი;

„პატივების სიგელი; „მუზა“ - სტუდია შავიტის ჯილდო;

„ხვარამზე“ 2019 წ. - II ადგილი.

„ხვარამზე“ 2021 წ. მთავარი ნომინაცია - „წლის ხვარამზე“.

სვამგელი კავთისხევიდან



გაზეთი სიმბოლურად, მხატვრული შედარების თვალსაზრისით, ხსოვნის სკივრს ჩამოგავს. ისეთს, მისი დამწყები, დებიუტანტი, ახალუნალი და გამოუცდელი ავტორი წლების შემდეგ რომ გადაშლის მის ძველ კომპლექტს და “თეთრ მინდორში შავი ხნულით” ნაბეჭდ საკუთარ სახელ-გვარსა და ლექსისა თუ ჩანახატის სათაურს იხილავს. ჰო, დახედავს და წამოერევა ის ნეტარი მღელვარება და განცდა, საკუთარი “შედეგის” პირველდაბეჭდვისას რომ ესტუმრა და თითქმის ცამდე აამალა.

ვინ მოთვლის, “ახალ განთიადს” განვლილი ათწლეულების მანძილზე რამდენი შემოქმედი ახალგაზრდისათვის დაულოცავს გზა სალიტერატურო ცხოვრებისაკენ, რამდენი “ჭაშნიკი” მოუწყვია მათთვის და აუნთია “მწვანე შუქი” დიდი შემოქმედებისათვის საწყის ეტაპზე.

გაზეთი აკი შემდგომაც თვალმიმდევრებელია მათი დაოსტატების და სალიტერატურო გამარჯვებებისა, რადგანაც ახალი ავტორის აღმოჩენისა და მისი მხრიდან იმედების გამართლების შეუქცევადი პროცესი მისთვისაც კეთილსაქმე და, სულაც, მოწოდება და დანიშნულებაა!

... სიმართლეს თვალის ვუსწოროთ და გაზეთის ისეთი ავტორ(ებ)იც ჰყოლია, ლიტგზაზე ნაბადი ისეთი ამ-

პარტაგნობით წამოუსხამს და “მონომახის ქუდიც” ისე მოურგია, ვითომდა, პირველად მომჩენი და დამლოცველი სულაც არა ჰყოლია, კონკრეტული ბეჭდური გამოცემა “ნათიად” არა ჰყოლია! ანუ, ორმხრივი ურთიერთობა ჩაუშლია, “მე ვარ და ჩემი ნაბადის” პრინციპი გაუთავისებია, მადლიერების საფანელი განელებია...

არა, ეს სიტყვას მოჰყვა... ამჯერა რადიკალურად საპირისპიროს მოგახსენებთ:

კასპელი პოეტი ქალის - ნინო მოდრეკილაძის სადებიუტო ლექსი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მაშინ დაიბეჭდა, როცა 12 წლის ყმაწვილქალი ბრძანდებოდა.

აკი ვთქვით, გაზეთი ხსოვნის სკივრიაო! მაშ ასე: 28 წლის შემდეგ ჩვენი გაზეთის სტუმარია ნინო მოდრეკილაძე - დღეისათვის შემდგარი შემოქმედი ქალბატონი - ჟურნალისტი, პოეტი, მთარგმნელი, განათლების დარგის სპეციალისტი, არაერთი ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული, სამი პოეტური კრებულის ავტორი...

გაიცანით მშობლიურ ქალაქსა და მხარეზე უზომოდ შეყვარებული ქალბატონი, რომელიც აღმერთებს და ეთაყვანება ყოველივე ქართულს, უპირველესად ქართული სიტყვის ძალმოსილებას, სიდიადეს, ქარგას...

ჟურნალისტიკიდან განათლების სფეროში

როცა შვილები შემეძინა, თანდათანობით ჩამოვცილდი აქტიურ ჟურნალისტიკას და გადავედი განათლების სფეროში. რამდენიმე წელი ვიმუშავე ლიტერატურული წრის ხელმძღვანელად სკოლაში.

დასასრული. გვ8.

# თვალსაზრისი განხილვის ვაზი

**დასასრული. დასაწყისი**  
**იხ. გვ. 2-3**

-ად საინტერესო ნამოღვაწარი. ამით აღასრულა ქართული კულტურის ისტორიისათვის აქამდე უცნობი ორიგინალური შემოქმედის ანდერძი - დადიანისეული 25 დიდი ტილო გამხდარიყო მისი მშობლიური ქვეყნის საკუთრება! 2017 წლიდან იგი დაეანებულა ქართული თეატრის, კინოსა და მუსიკის მუზეუმის ხელოვნების სასახლეში.

გიორგი ჯავრიშვილისავე თანადგომით ესოდენ საშვილიშვილო საქმის ერთიანი წარმართვის თაობაზე გადაღებულია დოკუმენტური ფილმი "სიმონიკა დადიანის დაბრუნება" (ავტორი - ნინო ხოფერია, რეჟისორი - ზვიად მიქელაძე).

ესოდენ კეთილშობილური საქმის დამავირგვინებელი გამოდგა ორი კულტურული წარდგინება: პარიზიდან ჩამოტანილი დადიანისეული საგანძურის პირველი სახალხო ჩვენების პატივი 2017 წლის 22 ოქტომბერს წილად ხვდა სწორედ "ჯავრიშვილის კლინიკის" არტგალერეას, ხოლო იმავე წლის 7 ნოემბერს თვით დოკუმენტური ფილმი იქნა ნაჩვენები ქობილისის რუსთაველის თეატრში.

... არანაკლები მნიშვნელობის მოვლენა უკავშირდება, ზუსტად ერთი საუკუნის წინ, უცხოეთის მიწაზე გარდაცვლილი ცნობილი ქართველი ფერმწერის - შალვა ქიქოძის (1894 - 1921) სახელს. იგი იმ ახალგაზრდა ქართველ შემოქმედთა წრიდან (ლადო გულაშვილი, დიმიტრი შვარცნაძე, დავით კაკაბაძე) ბრძანდებოდა, მე-19 საუკუნის გარიჟრაჟზე ევროპას რომ მიამაჟურეს. სხვები მობრუნდნენ საქართველოში და აქ უდიდესი კვალი დაამჩნიეს ქართულ სახვით ხელოვნებას.

აი, შალვა ქიქოძე 27 წლის ასაკში დაიკრძალა ქ. ფრაიბურგში (გერმანია). მეორე მსოფლიო ომმა მისი სამარის ნიშანწყალიც გააქრო...

გიორგი ჯავრიშვილს, ბედად, ხელში ჩაუვარდა მისი წერილები. ძალისხმევა და ფინანსები არ დაიშურა სვეტულური ხელოვნების ნემტის მოსაძიებლად და გადმოსასვენებლად, რაც შეუძლებელი აღმოჩნდა ობიექტურ მიზეზთა გამო. ამიტომ მისივე მცდელობით 2017 წლის ნოემბერში ქ. თბილისის 9 აპრილის (ყოფილი "ალექსანდროვის") ბაღში შესაძლებელი გახდა

შალვა ქიქოძის სიმბოლური კომპოზიციის დადგმა. აი, ასეთი სახით იგი დაბრუნდა ქართული კულტურის ორბიტაზე.

დასასრული: წინასახალწლო სურვილი თვალსაწიერზე ვაზის გამსხვლელი კაცისაგან...

- ბატონო გიორგი! როგორი იქნება თქვენი წინასახალწლო სურვილები ქართლის მხარეში, ლეხურისპირა პატარა ქალაქში გამომავალი გაზეთის "ახალი განთიადის" ხელმძღვრებისა და მკითხველების მიმართ?

- ჩემო კეთილო ხალხო, ესოდენ რთულ ყოველდღიურობაში ყური დაუვადლოთ საკუთარ გულისთქმას და მივყევით მის კარნახს!

- იყავით მხიარულები! არ მოგკლვოდეთ საამისო გარემოებათა მთელი 2022 წლის განმავლობაში!

**ამირან ტალახაძე.**  
რაც შეეხება შემოქმედებას, 2021 წელს რამდენიმე ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული ვაგხდი, მათ შორის ყველაზე დიდი ჯილდოა „წლის ზვარამზე“ - ლექსისთვის - „სანამ მოვკვდებოდი“. ეს გახლავთ კონკურსის პოეტ ქალთა შორის. აღსანიშნავია, რომ წელს ასი მონაწილე იყო. ასევე, გადმომეცა ძვირფასი ქვებით მოჭრილი გარდამავალი დიადემა.

ა. კალანდაძე

## გენერალ მაზნიაშვილის სახელობის სკვერი

გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მშობლიურ სოფელ სასირეთში მისივე სახელობის სკვერის მშენებლობა გრძელდება.

პროექტით დაგეგმილი სამუშაოებიდან სკვერი შემოიღობა დეკორატიული ღობით და მოეწყოს ბორდიურები.

აღნიშნულ სკვერში განთავსებულია



## სოფელი ზაფხულის სოფელი

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ხანდაკის ახალგაზრდები, მალე კომბინირებული ხელოვნურიზაციის საქმეში უმნიშვნელოვანესია. მსგავსი სპორტული მოედნით ისარგებლებენ.

მოედანზე დაიგო მწვანე ხელოვნური საფარი, მოეწყო ფეხბურთის კარი, კალათბურთის ფარი, განათება და შეიღება რკინის კონსტრუქციები.

სოფელში მინი მოედნის მოწყობა ადგილობრივი ახალგაზრდების თხოვნით დაკვეთდა. მათი ჩართულობა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის საქმეში უმნიშვნელოვანესია. მსგავსი მინი მოედანი სოფელ დოღში და ალაიშიც შენდება. გარდა ამისა, წელს მუნიციპალიტეტში 10 გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორები მოეწყო. პროცესი მომავალ, 2022 წელსაც გაგრძელდება - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ.

## სვამდა მგელი კავთისხუიდან

**\*დასასრული.**  
ჰქონდა. სწორედ საჭიროებიდან გამომდინარე, გავიარე შესაბამისი სწავლების კურსი და გადავიღე სკოლამდელი აღზრდის სფეროში, მეტყველების თერაპევტად. იქ უკვე ახალი ინტერესი გამიჩნდა, კერძოდ, ინკლუზიური განათლების მიმართულებით და ძალიან მალე ვაგხდი სპექტრული დიაგნოზის საშუალება

ამჟამად ვმუშაობ საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორად სკოლამდელი აღზრდის სფეროში, პარალელურად, ბიძისი აკადემიაში, ბავშვთა ფსიქოლოგია და სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკისა და მეთოდის ტრენერად.

**ჰანდემიური ნელი:**  
ჰამდემიამ დიდი დაფიქრების საშუალება

მომცა. შემეხო ისევე, როგორც უმეტესობას. რთულად გადატანილი კოვიდის ფონზე...

ამას დაერთო ამ ქვეყნად ჩემი უსაყვარლესი ადამიანის - მამის გარდაცვალება. მოხდა ბევრი გადაფასება. გამოიკვეთნენ ჩემი ადამიანები. მაღლობელი ვართოთოეულის გულისხმიერებისთვის, ასევე ყველა გათენებულნი დღისთვის.


## ლოთიური და პოეტური

ბავშვობის მოგონება იმ სასმელის პირველი გასინჯვის შესახებ, რომელსაც მუდმივად, თანაც პატარებისთვის გაუგებარი თავდავიწყებით მიირთმევენ უფროსები, უცხო, არასასურველ გემოს გვახსენებს... წლების მატებასთან ერთად ისევე გვაეციწყდება ენაზე დარჩენილი მომჟავო-მომწკარტო განწყობილება, როგორც საკუთარი თავი იმ ასაკში. ღვინის არათავდაზღვევადი მომხიბვლელობა იმარჯვებს და მისი მირთმევის შემდეგ აღძრული ჩინებული შეგრძნებების გამეორება მუდმივად თუ არა, ხანგამოშვებით მაინც გვენატრება. ალბათ, იმიტომ, რომ ღვინო არა მხოლოდ "ღმერთებისა და

პოეტების", არამედ ღვინური და პოეტური სასმელია. თანაც სხეული გენეტიკურ მენსიერებას ატარებს - ამ მიწაზე ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში ხარობდა ვაზი. აკადემიკოს გიორგი წერეთლის გამოკვლევით, სიტყვა "ღვინო" ყველა ენაში ქართულიდან შევიდა, რადგან ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი ვაზის ჩამოყალიბებისა, ეგვიპტეს, ასურეთს, მესოპოტამიას, შუა და მცირე აზიასთან ერთად, სწორედ სამხრეთ კავკასია და საქართველო გახლდათ, საიდანაც ეს სასმელი უახლოეს თუ შორეულ ქვეყნებში გაჰქონდათ. დღეს კი მკვლევართა უმეტესობა შესაშური ერთსუ-

ლოვნებით აღიარებს საქართველოს ღვინის სამშობლოდ.

სამყაროს პირველი მევენახე რომ ბიბლიური ნოე იყო, ამის შესახებ ყველას კარგად მოგეხსენება. შესაქმეში ნათქვამია: "ნოემ დაასხა ვე-



ნახი", რაც იმას ნიშნავს, რომ მან ველური ყურძნისგან კი არ დაწურა დამატობელი სასმელი, არამედ თავად გააშენა ვაზების ბაღი, ანუ ვენახოვანი.

სახელდობრ როდის დაიწყო კულტურული

ვაზის მოშენება საქართველოში, რა თქმაუნდა, ამის შესახებ ზუსტი ცნობა არ არსებობს. თუმცა ძვ. წ. 50000 წლით დათარიღებული არაველური ვაზის წიპწები, მცხეთის, თრიალეთის, ალაზნის ველის, ბიჭვინთის, მესხეთის მატერიალური კულტურის ყოფილი ნივთები-ფილები, თასები, მცირე ქანდაკებები, რომლებიც თითქმის 3000 წელზე მეტს ითვლის, უთუოდ ადასტურებენ, რომ ღვინო არა მხოლოდ ყოველდღიურობის, არამედ

რიტუალური მისტიკების ნაწილიც უნდა ყოფილიყო.

ძველი ბერძნები თურმე ღვინოში არომატულ დანამატებს, სხვადასხვა ხის ქერქს, ნუშსა და ზეთუნის ზეთსაც კი ურევდნენ, ქართველები კი ვენახს ტყის პირას აშენებდნენ, რათა, ოდესღაც ტყიურ ვაზს არსებობა გაადვილებოდა, თანაც მზის მცხუნვარებასავით შეესრუტა ველური ხილისა და ხემცენარეთა სურნელი. შემდეგ, როცა ვენახი ტყეს დამორდა, ვაზის მწკრივების თავში და ბოლოში ქართველი რვაჯა მუხას, რცხილას, ყველანაირი ჯიშის ხილს, და, დამუთუნებულ, რომ ასეთი ხეხილის ნაყოფი განსაკუთრებით გემრიელია.

ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეუ-

ლის დასაწყისში, როცა ასურელებს საქართველოზე გამოუღაშქრიათ, ერთიანად გაუნადგურებიათ ვენახები - ქართული ტომების ყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმბოლო. ძველი ბერძენი გეოგრაფები თუ ისტორიკოსნიც დაუზარლად ჰყვებიან ქართული ვაზისა და ღვინის შესახებ. მათ შორის, ქსენოფონტეს (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 431 წ.) ცნობით, საქართველოში მეტად კარგი ვენახები ყოფილა გაშენებული, ხოლო ყურძნის უხვი მოსავლისაგან დაწურულ ღვინოს კი, ამოთხრილი მიწის სიღრმეში ჩაშენებულ ქვევრებში ინახავდნენ. თეოპრასტ ბატონიშვილისა და მარი ბროსეს "გაბაასებიდან" მრავალი ირკვევა.

**\* დასასრული მომდევნო ნომერში**





დაგვიხაროს

2020-2021 წლის წლის ყოჩის-რამთაფრე-ბულოები, რომლებმაც მოიპოვეს უმჯობესი სახელმწიფო რატიონსებებს

კასპის №1 საჯარო სკოლა - მარიამ მენაბდიშვილი, ხატია მიქელაძე, გიორგი ხუციშვილი.
კასპის №2 საჯარო სკოლა - ხატია ბალხამიშვილი.
კასპის №3 საჯარო სკოლა - ალექსანდრე კორინთელი.
კასპის №4 საჯარო სკოლა - სალომე მიდელაშვილი.
შპს "ბესიკ ნი პარიშვილი" მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზია - დავით არაყიშვილი, გიორგი გაბოშვილი, ქეთევან მაზმიშვილი, მარიამ ნონიაშვილი, ქეთევან ჯინიყაშვილი.
სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლა - მარიამ ალიბარაშვილი, ქეთევან სულუაშვილი
სოფელ ლამისყანის საჯარო სკოლა - მარიამ ბეინაშვილი.



მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აწარმოებენ ყველას დასაწყისი თუ ყველაზე სკოლას უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.
2021-2022 წლის საჯარო სკოლაში უზრუნველყოფის უზრუნველყოფის მიზნით.
გადასრულებულია საჯარო სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.
გადასრულებულია საჯარო სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.
გადასრულებულია საჯარო სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

ხსოვნა

გორა კობაური



მამა, ძვირფასო! ერთი ჩვეულებრივი გაზაფხული გიზგიზებდა წელსაც საქართველოში, აპრილის მზე სიცოცხლეს უხანგრძლივებდა ბუნებასაც და ადამიანებსაც... შენ კი, 14 აპრილის დილა უკანასკნელად გაგიოთენდა. ჩავიტყადა სიცოცხლის ხიდი.
მამა, შენ ძალიან კეთილი იყავი, განსაკუთრებით ზრუნავდი შენს თანამებრძოლებზე, ომის ვეტერანებზე და მათ ოჯახებს ეხმარებოდი. ბევრი კარგი მოგონება დაუტოვე მათ შვილებს, ვისაც მამა ომმა წაართვა.
შენ საკუთარ ჭერქვეშ დაგამარცხა სიკვდილმა.
შვიდი თვე გადაფურცლა კალენდარმა... ისევ მოვიდა 22 ნოემბერი - პირველი დაბადების დღე უშენოდ... 57 წელი შეგისრულდაო - ჩამოგმაცხეს შენმა ვეტერანმა მეგობრებმა... გეწვივნენ გორიდან, კასპიდან თაიგულებით, ცრემლით. ეს პირველია ყველაზე მტკივნეული. ამიერიდან 22 ნოემბერი შენს ახალ სამოსახლოზე, მშობლების სავანესთან, შეკრების დაუვიწყარ თარიღად დარჩება.
ღმერთმა ყველას სიკეთით გადაუხადოს, ვინც გაგიხსენა, შესანდობარი ვითხრა და გაგილამაზა უშენოდ იუბილე. ნათელი გედგას, მამა!

შვილი დარინა კობაური-გზირიშვილი.

„ახალი გზნითაღი,, ეძებს წინცეროვსო სურათებს წინაონის სავაზითო თოცო-მაციახის ურავაშვილოვო. თხოვნით მივმართავთ თანწინაონელოებს - რაცოვოთ თქვინი ყვოლი სვინს მაციახეში! ვამოგვიგზავნით წინცეროვსო თოცოვები!

გაზათი „ახალი გზნითაღი,, დრამ მენუ-არაბით იწყება, რომ გარდაიხსნა კასპის საკრებულოს ორი მოწვევის დაუბათი, კასპის რაიონის ყოფილი გამგებანი
ოთარ ჭინიშვილი
და სამიქიარს უხსადაბს განსვენებულის ოჯახს

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სანაღვრეო სკოლის დანახუბუბუბის გაართინანის აპარატი მენუარაბით იწყება, რომ გარდაიხსნა კასპის საგუნიო სკოლის ავდა-ბოგი
ინო ყოჩიშვილი
და სამიქიარს უხსადაბს განსვენებულის ოჯახს

გვანათი სვინი მყითხელო
გაზათი „ახალი გზნითაღი,, სამიქიარს უხსადაბს ამირან ბალახაქის დის ქუქუნა ბალახაქის გარდაიხსნა ბამო.

რედაქციაში შემოსული წერილები არ ჩვენებინდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზათი იგაქდაბა შ.პ.ს. კოლორ პრესი

რედაქცია სელმკვანელობს თაჟინსაჟი პრესის პრინციპებით.
საბილის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ეთხვეოდან რედაქციის აზრს. მოგანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარედაქციო მისაღობისა და განსხვავებულის შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აბებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მისაღობის ბამოქვეყნება იქრება.

რედაქცია ნანა მარაბაშვილი
რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი
საბაქიის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76